საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
GEORGIAN FOOTBALL FEDERATION

ჭავჭავაძის გამზ. 76, 0179 თბილისი საქართველო
ტელ: 995 32 291 26 50, 995 32 291 26 70
ფაქსი: 995 32 291 59 95, ელ-ფოსტა: gff@gff.ge www.gff.ge

76 Chavchavadze ave. 0179 Tbilisi Georgia
Tel: 995 32 291 26 50, 995 32 291 26 70
Fax: 995 32 291 59 95, E-Mail: gff@gff.ge www.gff.ge

03/1027
23.12.2013

ს.კ "დინამო" თბილისის
პრეზიდენტს ბ-ნ რომან ფიფიას

ბატონო რომან,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში 2008 წლის აგვისტოში განვითარებული რუსული აგრესიისა და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთპიროვნული აღიარების შემდეგ საქართველოსა და რუსეთის რესპუბლიკას შორის შეწყდა დიპლომატიური ურთიერთობები. სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი იყო და რჩება ყველა იმ სპორტული ღონისძიების ბოიკოტირება, სადაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელით მოასპარეზე სხვადასხვა სპორტული გუნდები და ნაკრებები მონაწილეობენ. არახალია რუსული მხარის მიერ ორგანიზებულ ტურნირებზე სხვა სუვერენულ სახელმწიფოებთან ერთად აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიწვევაც, რაც ყოველთვის იწვევდა და იწვევს ქართული მხარის პროტესტს.

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის დეკემბერში სანკტ-პეტერბურგში დემენტიევის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც დინამო თბილისის 13 წლამდელთა გუნდმა გაიმარჯვა. აღნიშნულ ტურნირზე თქვენს გუნდთან ერთად სოხუმის „დინამოს" ასაკობრივი გუნდიც მონაწილეობდა. ამ საკითხზე სფფ-იმ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის წერილი მიიღო (19.12.2013 - №10/3934 - იხილეთ დანართი), რომელშიც მკაფიოდაა აღნიშნული დემენტიევის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე აფხაზეთისა და საქართველოს გუნდების მონაწილეობით გამოწვეული უხერხულობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით, გვაცნობოთ კლუბის ოფიციალური პოზიცია, რაც შემდგომ გადაეგზავნება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს.

პატივისცემით,
დ. სიჭინავა
სფფ-ის პრეზიდენტი

infront SPORTS & MEDIA
SOCAR General Sponsor
მენეჯერული სპონსორი
ნატახტარი NATAKHTARI

საქართველოს
სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA

KA100122426208913

. საქართველო, თბილისი, 0162 ჩოლოყაშვილის გამზ. N9; ტელ: 223 02 03; 223 50 06; ფაქსი: 229 20 49;
9 Cholokashvili Ave. 0162 Tbilisi, Georgia; www.msy.gov.ge / pr@msy.gov.ge

№10/3934

19 / დეკემბერი / 2013 წ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის
პრეზიდენტს ბატონ დომენტი სიჭინავას

ბატონო დომენტი,

2013 წლის დეკემბერში დინამო თბილისის საფეხბურთო აკადემიის U13 გუნდი რუსეთის ქალაქ სანქტ პეტერბურგში დემენტიევის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირზე იმყოფებოდა. ტურნირში ასევე მონაწილეობდა ქ.სოხუმის საფეხბურთო კლუბი „დინამო-აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი ფაქტი ზიანის მომტანია ქვეყნის რეპუტაციისთვის და წინააღმდეგობაში მოდის მსოფლიო თანამეგობრობის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების პოლიტიკასთან.

გთხოვთ, საკითხი განიხილოთ სფფ-ს შესაბამის ორგანოებთან ერთად და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ გვაცნობოთ წერილობით.

პატივისცემით,

მინისტრი ლევან ყიფიანი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
GEORGIAN FOOTBALL FEDERATION
№ 958 20.12.13
სფფ-ის კანცელარია – GFF CHANCELLERY